MES 2 21 0001058578

08/10/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.09.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:23სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (I. II),
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი (III, IV)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
(შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელენე ჟურავლიოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სხდომის მდივანი;
10. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
17. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი

1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	თამარ შენგელია	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გენადი კვერენჩხილაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის "გარემოს მედიცინა" ხელმძღვანელი	II
2	ირაკლი მჭედლიშვილი		სამაგისტრო პროგრამის "ეპიდემიოლოგია" ხელმძღვანელი	II
3	დავით გელოვანი		საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
4	თამარ გაგოშიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
5	ნინო რუხაძე		საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი	III
6	ირმა გრძელიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III - IV
7	მანანა მელიქიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III - IV
8	*ქეთევან ჭკუასელი*		ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ერთობლივი სადოქტორო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ ხელმძღვანელი	IV
9	*ზაქარია ქიტიაშვილი*		ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	IV
10	*ივანე მინდაძე*		ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	IV
11				IV

	მანანა მელიქიშვილი		ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
12	იმერი ბასილაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიური ფაკულტეტი, პედაგოგიკის დეპარტამენტი, პროგრამის კოორდინატორი	IV
13	ვლადიმერ ადეიშვილი		პედაგოგიური ფაკულტეტი, სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
14	*მამული ბუჭუხიშვილი*	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	IV
15	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბსუ- ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
16	ლელა თურმანიძე		პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, მმართველი საბჭოს წევრი	IV
17	ლელა თავდგირიძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, მმართველი საბჭოს წევრი	IV
18	შალვა ჭკადუა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
19	დავით მახაშვილი		განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	IV
20	ნინო ჯაშიაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
21	თამარ მიქელაძე		განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IV
22	ნინო ნახუცრიშვილი		პროფესორი, პროგრამის ბორდის წევრი	IV
23	ნინო მოდებაძე		პროფესორი, პროგრამის ბორდის წევრი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	ნიკოლოზი ფარჯანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ ნინო იმნაძემ

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომაკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "გარემოს მედიცინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ოკუპაციური თერაპიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ, წარმოდგენილ დღის წესრიგში საკითხის დამატების თაობაზე, ,,შპს ევროპული სკოლის ,,ამერიკული უმაღლესი სკოლის“ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 18 აგვისტოს N806148 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. ,,შპს ევროპული სკოლის ,,ამერიკული უმაღლესი სკოლის“ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს N806148 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება;

2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "გარემოს მედიცინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ოკუპაციური თერაპიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: ,,შპს ევროპული სკოლის ,,ამერიკული უმაღლესი სკოლის“ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს N806148 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიმდინარე წლის 04 აგვისტოს სხდომაზე განიხილებოდა შპს ევროპული სკოლის ,,ამერიკული უმაღლესი სკოლის“ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. საბჭოს სხდომაზე აკრედიტაციის მაძიებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების და საბჭოს წევრების მიერ არ იქნა წარმოდგენილი შუამდგომლობა ან პოზიცია აღნიშნული პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების გადაწყვეტილების ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღის შესახებ. აღნიშნული დასტურდება ასევე, სხდომის ოქმით. შესაბამისად, გადაწყვეტილება ძალაში უნდა შესულიყო საბჭოს სხდომის ოქმისა და თანდართული გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღეს, კერძოდ, 2021 წლის 18 აგვისტოს. ნაცვლად აღნიშნული თარიღისა გადაწყვეტილებაში და მის დანართში აღნიშნულია 2021 წლის 4 აგვისტო. აღნიშნულის შესაბამისად, მიზანშეწონილია გასწორდეს დაფიქსირებული ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების მე-4 პუნქტში, საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზრვროს 2021 წლის 18 აგვისტო. ამასთან, შესაბამისად დაკორექტირდეს აღნიშნული გადაწყვეტილების დანართი N1 ,,ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ“ და მე-16 პუნქტში, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 18.08.2021, ნაცვლად 04.08.2021 და ასევე, მე-17 პუნქტში, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად განისაზღვროს 18.08.2025, ნაცვლად 04.08.2025. ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე იქნა შუამდგომლობა დაყენებული საბჭოს წინაშე. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ,,შპს ევროპული სკოლის ,,ამერიკული უმაღლესი სკოლის“ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს N806148 გადაწყვეტილებაში და მის დანართ N1-ში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ,,შპს ევროპული სკოლის ,,ამერიკული უმაღლესი სკოლის“ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს N806148 გადაწყვეტილებაში და მის დანართ N1-ში, კერძოდ, გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 18 აგვისტოს.“

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს N806148 გადაწყვეტილების დანართ N1-ის მე-16 და მე-17 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	18.08.2021
17	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	18.08.2025

მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "გარემოს მედიცინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოს მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 24 თებერვლის N07 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	გარემოს მედიცინის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186 (0177), ვაჟა - ფშაველას გამზირი 33
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- გაიანე სიმონიამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ფუნქციონირებდა 2020 წლიდან, სახელწოდებით „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“, აღნიშნული პროგრამა ანიჭებდა ორ სხვადასხვა კვალიფიკაციას. განსახილველი პროგრამა „გარემოს მედიცინა“, წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“ მოდიფიცირებულ ვარიანტს. მოდიფიცირება განხორციელდა კლასიფიკატორთან შესაბამისობის მიზნით. ექსპერტის თქმით, განხორციელებული მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის სახელწოდება, მიზანი, შედეგები და სტრუქტურა, ასევე განმახორციელებელი პერსონალი. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, განსახილველი პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია მათ გადაეცათ 2021 წლის 25 აგვისტოს. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, 4.3 ქვესტანდარტის შესაფასებლად საჭირო გახდა დაწესებულებიდან გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტები.
ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სამაგისტრო საგანმნათლებლო პროგრამა სრულად შესაბამისობაშია პირველ და მეოთხე სტანდარტთან, ხოლო მეორე სტანდარტი შეფასებულია, როგორც „ მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია წინაპირობებში ნათლად გაიწეროს თუ რომელი ენაში ტარდება უცხო ენის გამოცდა და როგორია მოთხოვნა ენის ცოდნის მინიმალური დონის შესახებ;
2. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგეს სამეცნიერო წერის უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსი/კომპონენტი, რომელიც მოამზადებს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომისათვის და უზრუნველყოფს მის აკადემიურ მზაობას განზოგადებული სწავლის შედეგის (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით) მიღწევისათვის;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „გარემოს მედიცინის თანამედროვე ასპექტები“ გაძლიერდეს მდგრადი განვითარების გლობალური მიზნებისა და შესაბამისი ეროვნული ამოცანების/მიდგომების/მდგომარეობის სწავლების მხრივ (მათ შორის შესაბამისი თემატიკისა და ლიტერატურის ასახვის მხრივ);
4. რეკომენდებულია „პრაქტიკის“ სილაბუსში დაკონკრეტდეს კურსის წინაპირობები ისე, რომ მასში არ მოხვდეს ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელიც ისწავლება იმავე სემესტრში;

5. რეკომენდებულია „პრაქტიკის“ საბოლოო შეფასებისათვის გამოყენებული ტესტური გამოცდა შეიცვალოს სხვა რელევანტური შეფასების მეთოდით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:24
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაციები

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია წინაპირობებში ნათლად გაიწეროს თუ რომელი ენაში ტარდება უცხო ენის გამოცდა და როგორია მოთხოვნა ენის ცოდნის მინიმალური დონის შესახებ;
2. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგეს სამეცნიერო წერის უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსი/კომპონენტი, რომელიც მოამზადებს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომისათვის და უზრუნველყოფს მის აკადემიურ მზაობას განზოგადებული სწავლის შედეგის (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით) მიღწევისათვის;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „გარემოს მედიცინის თანამედროვე ასპექტები“ გაძლიერდეს მდგრადი განვითარების გლობალური მიზნებისა და შესაბამისი ეროვნული ამოცანების/მიდგომების/მდგომარეობის სწავლების მხრივ (მათ შორის შესაბამისი თემატიკისა და ლიტერატურის ასახვის მხრივ);
4. რეკომენდებულია „პრაქტიკის“ სილაბუსში დაკონკრეტდეს კურსის წინაპირობები ისე, რომ მასში არ მოხვდეს ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელიც ისწავლება იმავე სემეტრში;
5. რეკომენდებულია „პრაქტიკის“ საბოლოო შეფასებისათვის გამოყენებული ტესტური გამოცდა შეიცვალოს სხვა რელევანტური შეფასების მეთოდით.

რჩევები:
პროგრამის სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება დაეყრდნოს ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარებასა და საფუძვლიან ანალიზს. საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და განვითარების ტენდენციების გათვალისწინება უფრო მეტად განავითარებს პროგრამას და გაზრდის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „გარემოს მედიცინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „გარემოს მედიცინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „გარემოს მედიცინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

14:25- საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ინასარიძემ

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ოკუპაციური თერაპიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ოკუპაციური თერაპია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 16 იანვრის N5461 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №11, მე3 კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი
თვითაცილება განაცხადეს: გიორგი ღაღანიძემ, მარიამ შენგელიამ, ნინო ჭალაგანიძემ და თეონა მატარაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების სრულყოფისათვის რეკომენდებულია სამედიცინო კურსებთან ინტეგრირებული მოდულების შემუშავება, შემდეგი სავალდებულო სასწავლო კურსების დამატება: რეაბილიტაცია; პირველადი დახმარება; ბიომექანიკა შესაბამისი სწავლის საფეხურის გათვალისწინებით;
2. რეკომენდირებულია შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსების: ინკლუზიური განათლება; სენსორული საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, თემებთან და ორგანიზაციებ თანმუშაობა; ჯანმრთელობა, სოციალური ზრუნვა და კანონმდებლობა, გადატანა სავალდებულო კურსების ნუსხაში;
3. სასწავლო კურსების „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან“ და „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად ბიომექანიკის საბაზისო კურსის განსაზღვრა;
4. რეკომენდებულია პორტფოლიოს წარმოების სწავლება პროგრამის ადრეულ ეტაპზე; რეკომენდებულია სტუდენტებისათვის ასარჩევი პრობლემების პროექტების სტანდარტიზირება;
5. რეკომენდებულია მეტად სტანდარტიზებული შეფასების კომპონენტების შემუშავება, რათა შეფასების სისტემა იყოს ობიექტური და გამოირიცხოს სუბიექტივიზმის ელემენტები; ასევე დასწრების კომპონენტის მაქსიმალურად შემცირება, რაც გააუმჯობესებს სტუდენტის მიღწევების შეფასების სარწმუნოებას;
6. მოხდეს ბიბლიოთეკაში განთავსებული სახელმძღვანელოების ციფრულ ფორმატში გადაყვანა, რათა შესაძლებელი გახდეს ელექტრონული ვერსიის ჩამოტვირთვა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების პერიოდში. განახლდეს მოძველებული ლიტერატურა, რომელიც მითითებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში.

ექსპერტის თქმით, აღნიშნული რეკომენდაციები განხილულ იქნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის მმართველი საბჭოს მიერ, მათ მიერ განისაზღვრა რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი თემატური ჯგუფი, ჯგუფს დაევალა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად ცვლილებების განხორცილება და რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება, შესაბამისად, მმართველი

საბჭოს წევრების სამუშაო შეხვედრებზე განხილულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები და მათ შესრულებაზე დაგეგმილი აქტივობების შედეგად მომზადდა თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი. დაწესებულებამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა საგანმანათლელო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 16 იანვრის N5461 გადაწყვეტილების შესაბამისად საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

ექსპერტის თქმით, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსებთან დაკავშირებული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ არ იქნა გაზიარებული. როგორც მან აღნიშნა, ოკუპაციური თერაპიის გამოყენების შესაძლებლობები და მნიშვნელობა დღეს სულ უფრო იზრდება ჯანდაცვის სისტემასა და მედიცინის სხვადასხვა დარგში, მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამას ნამდვილად სრულყოფდა ექსპერტთა მიერ რეკომენდირებული სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა სტუდენტებს მიეღოთ რეაბილიტაციისა თუ პირველადი დახმარების საბაზისო ცოდნა, რაც რეალიზებული იქნებოდა მათ სამომავლო პროფესიულ საქმიანობაში.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, რეკომენდაციის თანახმად არჩევითი სასწავლო კურსების (ინკლუზიური განათლება; სენსორული საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, თემებთან და ორგანიზაციებთან მუშაობა; ჯანმრთელობა, სოციალური ზრუნვა და კანონმდებლობა) გადატანა სავალდებულო კურსების ნუსხაში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და კიდევ უფრო სარწმუნოს გახდიდა მათ სრულ შესაბამისობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

აღსანიშნავია ასევე მესამე რეკომენდაცია, კერძოდ აღნიშნული კურსები პროგრამაში ნამდვილად გათვალისწინებულია მე-4 სემესტრში და წინ უსწრებს ოკუპაციური თერაპიის კურსს ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებში, თუმცა პროგრამის სტრუქტურის თანახმად, იმავე სასწავლო კურსებს წინაპირობად განსაზღვრული აქვს არა ზემოთხსენებული, არამედ სხვა სასწავლო კურსი, კერძოდ: „ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკა ფსიქიკური ან ფიზიკური ზრუნვის სფეროში“,შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციის თანახმად, „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან“ და „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან - პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ წინაპირობები დასაზუსტებელია კურსების სახით, რომელთა ფარგლებშიც ისწავლება ბიომექანიკის ელემენტები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და სასწავლო კურსებთან დაკავშირებით არსებულს რეკომენდაციებთან მიმართებით აღნიშნა, რომ მართალია, აღნიშნული კურსები ზოგადად გაამდიდრებდა სასწავლო პროგრამას, მაგრამ პროგრამის განმახორციელებელი პირები იტოვებენ უფლებას არ გაითვალისწინონ რეკომენდაცია, რადგან პროგრამას აქვს სასრული მოცულობა (ნებისმიერი სავალდებულო კურსის გაჩენა სხვა კურსის ამოკლების ან შემჭიდროვების ხარჯზეა შესაძლებელი). ასევე მისი თქმით, უმთავრესი პრინციპი, რასაც პროგრამის აგება ეყრდნობოდა დარგისთვის განსაზღვრული კომპეტენციების განვითარებაა. ვინაიდან, პროგრამა ამ უმთავრეს ამოცანას პასუხობს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე, მისი მთლიანობის დარღვევა ამ ეტაპზე მიზანშეწონილად აკადემიურ პერსონალს არ მიაჩნია.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პორტფოლიო თითოეული სტუდენტის სასწავლო პროცესის უნიკალური ამსახველი მასალაა. პრობლემის არჩევის თავისუფლება გადამწყვეტია და შესაძლებლობას იძლევა სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზაციის, შინაგანი მოტივაციისა და ინტერესის განვითარების, ასევე შრომის ბაზარზე არსებული რეალური პრობლემებისა და გამოწვევების საპასუხო პროექტების დაგეგმვის შესაძლებლობას. მისი თქმით, რეალურ პრობლემაზე მუშაობისას მენტორის

უკუკავშირი, პროცესისა და შეფასების კრიტერიუმების სტანდარტიზაცია აკადემიურ პერსონალს საკმარისად მიაჩნია იმისათვის, რომ უპასუხონ პროგრამის მიზნებსა და გამოწვევებს.
მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები იტოვებენ უფლებას, ამ ეტაპზე შეფასების სისტემა დატოვონ იგივე და სასწავლო პროცესში კვლევებზე დაყრდნობით, ეტაპობრივად გააუმჯობესონ შეფასების ობიექტურობის პარამეტრები. ისინი თვლიან, რომ შეფასების კრიტერიუმების სტანდარტიზებისთვის - საჭიროა გეგმის, ანგარიშის და რეფლექსიის წარდგენა. კრიტერიუმები ქცევის დემონსტრირების ტერმინებით არის ფორმულირებული, შესაბამისად მარტივია იმის შეფასება აღწევს თუ არა სტუდენტი თითოეულს პრაქტიკის პროცესში. მისი თქმით, გამოცდა მოიცავს პრაქტიკის პორტფოლიოს წარდგენას ისე, რომ სტუდენტი პასუხობდეს შეფასების 10 კრიტერიუმს (თითოეულთან დაკავშირებით ფასდება 4 კომპონენტი). დასწრების კომპონენტის შეფასება მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ისეთ კურსებზე, რომლებიც პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა ორიენტირებული: მოიცავს ლექტორის მხრიდან დემონსტრირებას, პრქტიკას სტუდენტებს შორის და ოკუპაციური თერაპიის მომხმარებლებთან მუშაობას.
რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ნაწილობრივ იზიარებენ რეკომენდაციას. მისი თქმით, დაჩქარებული წესით, განსაკუთრებით დისტანციური სწავლების პროცესის ხელშეწყობისათვის, გაციფრულდა ლიტერატურა, რომელიც არ იწვევს საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებს და ატვირთულია მხოლოდ წაკითხვის უფლებით (და არა ჩამოტვირთვის უფლებით). განახლდა ლიტერატურის ჩამონათვალი აკრედიტაციის საბჭოს მიერ ნახსენებ სილაბუსებშიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ მოძველებული ლიტერატურა მოყვანილია დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში, სავალდებულო ლიტერატურა კი განახლებული რიდერითა და ატლასით არის დაკომპლექტებული; ასევე უნდა აღინიშოს ისიც, რომ მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის თუნდაც ძველი გამოცემის მითითება, ამდიდრებს ცოდნის შევსების შესაძლებლობას, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, რომელშიც ფუნდამენტური ცოდნა არსობრივად არ შეცვლილა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი გაიანე სიმონია დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მექანიზმები არსებობს დაწესებულებაში და რამდენად ობიექტურად ხდება პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების შეფასება.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ აღნიშნა, რომ რიგ სილაბუსებში 15 ქულა განსაზღვრულია, როგორც ლექციაზე დასწრების ქულა, შესაბამისად ის დაინტერესდა, დაწესებულებაში რა მექანიზმები არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც დასაბუთებული მიზეზის გამო სტუდენტი ვერ ესწრება ლექციას და არსებობს თუ არა მოცემული ქულის აღდგენის შესაძლებლობა.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დასწრებაში ქულა გულისხმობს იმას, რომ სტუდენტმა შეიძლება საერთოდ არ იაქტიუროს და მაინც მიიღოს შეფასება, შესაბამისად, აღნიშნული არ იძლევა ცოდნის შემოწმების საშუალებას. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ არსებული რეკომენდაციებიდან დაწესებულება მხოლოდ ერთს ეთანხმება. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი რომ რეკომენდაციები წარდგენილი იყო წინა აკრედიტაციის საბჭოზეც, სადაც დაწესებულებას ჰქონდა შესაძლებლობა გამოეხატა თავისი არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა, შეიცვალა თუ არა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია აკრედიტაციის წინა საბჭოდან მოცემულ საბჭომდე, რომელიც უფრო გაამყარებდა დაწესებულების პოზიციას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციას აკრედიტაციის წინა საბჭოზეც იგივე პოზიცია ჰქონდა დაფიქსირებული. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ

ცხადია პროგრამა სამედიცინო სფეროსაც ემსახურება, შესაბამისად კურიკულუმში ბევრი საგანია, რომლიც ეხება სამედიცინო საბაზისო ცოდნას. მედიკალიზაცია მოცემული სფეროსთვის არ არის მისაღები. ამდენად დაწესებულება აუცილებლად იფიქრებს მოცემულ საკითხზე, თუმცა მიიჩნევს, რომ პროგრამაში სამედიცინო სასწავლო კურსების საკმარისად არის გათვალისწინებული.
რაც შეეხება პრაქტიკის შეფასებას, აღნიშნული საკმაოდ მკაცრად რეგულირდება და მოიცავს 10 კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ფასდება ის თუ რა კომპეტენციები უნდა დაგროვდეს პრაქტიკის შესავალში. შეფასება ხდება სტანდარტულად, ყველა სტუდენტი ფასდება ერთ სკალაზე, მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მე-2 სასწავლო წლიდან სტუდენტები იწყებენ პრაქტიკას, რომელიც თან მიჰყვება სემესტრებს და გადანაწილებულია თემატურად. რაც შეეხება პრაქტიკის დაორგანიზებას, დაწესებულებას კავშირის აქვს კლინიკებთან. სტუდენტები მუშაობენ ოკუპაციურ თერაპევტებთან. შეფასება ხორციელდება სამ ნაწილად, სტუდენტი აფასებს თავის თავს, შემდგომ სტუდენტს აფასებს მასთან მიმაგრებული პირი, პრაქტიკოსი და ლექტორი, რომელსაც მიჰყავს კურსი. ძირითადი დატვირთვა მოცემულ კომპონენტში არის პრაქტიკაზე ყოფნა. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ შემთხვევაში ხდება მთლიანი პროცესის შეფასება.
რაც შეეხება დასწრების ქულას, უნივერსიტეტი იძლევა მისი აღდგენის შესაძლებლობას. ხშირად გამოიყენება ბონუს სისტემა, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის არის განსაზღვრული მეტი დავალება, რის საშუალებითაც სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ქულები. მოცემული პროგრამის ფარგლებში დასწრება არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, რადგან დასწრების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია აუცილებელი კომპონენტებით სტუდენტის აღჭურვა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დასწრება გულისხმობს აქტიურობასაც და არა მხოლოდ დასწრების კომპონენტს, რაც ეხმარება სტუდენტს შედეგზე გასვლაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:48

აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასება და კენჭისყრა

საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია ამოიღო/გადაიტანა რჩევებში/დააფორმულირა.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

რეკომენდირებულია დასწრების კომპონენტი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაფასებლად, სადაც რელევანტურია.

რჩევები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების უფრო მეტად სრულყოფისათვის სასურველია სამედიცინო კურსებთან ინტეგრირებული მოდულების შემუშავება, შემდეგი სავალდებულო სასწავლო კურსების დამატება:რეაბილიტაცია, პირველადი დახმარება, ბიომექანიკა შესაბამისი სწავლის საფეხურის გათვალისწინებით;
2. სასურველია შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსების: ინკლუზიური განათლება, სენსორული საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ - ჩვევები, თემებთან და ორგანიზაციებთან მუშაობა, ჯანმრთელობა, სოციალური ზრუნვა და კანონმდებლობა, გადატანა სავალდებულო კურსების ნუსხაში;

3. სასურველია, სასწავლო კურსების „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან“ და „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად ბიომექანიკის საბაზისო კურსის განსაზღვრა;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ოკუპაციური თერაპიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ოკუპაციური თერაპიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა მაკა კაჭარავა

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 13 ოქტომბრის N985678 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	

		განათლების მეცნიერებების დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40 (სასწავლო კომპონენტი)
11	განხორციელების ადგილი	თსუ-ჭავჭავაძის გამზირი #11ბ, ქ.თბილისი, III კორპუსი, 0179, საქართველოა წსუ-ქუთაისი, თამარმ ეფისქ,#59, 4600, საქართველო ბსუ-ბათუმი, ნინოშვილისქ.#35, 6010, საქართველო თესაუ - თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ.#1, 2200, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს- გიორგი ღაღანიძემ, მარიამ შენგელიამ, ნინო ჭალაგანიძემ, თეონა მატარაძემ, დიანა მჭედლიშვილმა, გაიოზ ფარცხალაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებებთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. აუცილებელია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები და საკანონმდებლო მოთხოვნები. ასევე, უნდა განისაზღვროს ქართულ ენაში მინიმალური ენობრივი კომპეტენცია;
2. განათლების ადმინისტრირების სასწავლო კურსის არსებობა დაეხმარებოდა სტუდენტს, გაეფართოებინა საკუთარი თვალსაწიერი და უკეთ დაეგეგმა როგორც სწავლის, ასევე კვლევის პროცესი;

3. აუცილებელია, პრაქტიკული კვლევის სასწავლო კურსს წინაპირობად განესაზღვროს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების სასწავლო კურსი;
4. აუცილებელია, პედაგოგიკის თეორიის სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობის გაზრდა ან გარკვეული საკითხებისათვის ცალკე სასწავლო კურსის შემუშავება, რომ სტუდენტმა მოახერხოს აუცილებელი ინფორმაციის ეფექტურად დამუშავება;
5. პროგრამის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტორონული ბიბლიოთეკის მეშვეობით;
6. გადაიხედოს ლიტერატურა სასწავლო კურსების ნაწილში, განსაკუთრებით, ძველი, საბჭოური პერიოდის სასწავლო მასალები; დაემატოს თანამედროვე სამეცნიერო მიდგომებზე დაფუძნებული ლიტერატურა. სახელმძღვანელოების ნაცვლად, აქცენტი გაკეთდეს თანამედროვე და აქტუალურ კვლევით ნაშრომებზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უსდ-მ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში (25.04.2021) წარმოადგინა ანგარიში განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით. ანგარიშში დეტალურად არის განხილული რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით პროგრამის მმართველმა საბჭომ შექმნა ჯგუფი, რომელმაც პროგრამის განვითარების მიზნით იმსჯელა ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და რჩევებზე. საბოლოოდ, პროგრამის მმართველმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და გაიზიარა 1-ელი, მე-3, მე-5 და მე-6 რეკომენდაციები. რაც შეეხება მე-2 და მე - 4 რეკომენდაციებს, პროგრამის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით ეს ორი რეკომენდაცია გაზიარებული არ არის და შესაბამისად პროგრამაში არ განხორციელებულა რაიმე ცვლილება ამ რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.
უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, აკრედიტაციის მიღებიდან ანგარიშის წარმოდგენამდე პროგრამის მმართველი საბჭოს 8 შეხვედრა გაიმართა, სადაც იმსჯელეს როგორც ორგანიზაციულ, ასევე, თეორიულ საკითხებზე და განიხილეს პროგრამის აკრედიტაციისას მიღებული რჩევები, მაგალითად, პროგრამის სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის (მობილობის განხორციელების საკითხები); ასევე, სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობის შესაბამისად, განისაზღვრა პროგრამაზე ჩარიცხვის საგნობრივი გამოცდის საკითხთა ჩამონათვალი და შესაბამისი ლიტერატურა.
მნიშვნელოვანია რეკომენდაცია განათლების ადმინისტრირების სასწავლო კურსთან დაკავშირებით, კერძოდ უსდ-მ ეს რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. უსდ-მ ახსნა, რომ პროგრამის მმართველი საბჭოს ფილოსოფიის შესაბამისად, პროგრამა ძირითად აქცენტს აკეთებს პედაგოგიკის მეცნიერებების თეორიასა და ისტორიაზე და შესაბამისად, ძირითადი სასწავლო კურსების სრულად ფარავს განათლების მეცნიერებების ამ მიმართულებას. უსდ-ს ეს პოზიცია მისაღებია იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამა აქცენტს გააკეთებს მხოლოდ პედაგოგიკა-მეთოდიკის შესწავლასა და კვლევაზე, რადგან განათლების ადმინისტრირება მოცემულია მხოლოდ არჩევით სასწავლო კურსებში; არჩევითი კომპონენტი კი ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ კი, განათლების ადმინისტრირების მიმართულების კვლევას.
რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, უსდ-მ რეკომენდაცია არ გაითვალისწინა და წარმოადგინა საკუთარი პოზიცია, რომ კურსის მოცულობა შეესაბამება მისთვის გამოყოფილი 5 კრედიტით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას. უსდ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ კურსი განიხილავს საბაზისო საკითხებს, მაგრამ სადოქტორო პროგრამის მიზანია საკითხების სიღრმისეული შესწავლა და კვლევა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა არის ოთხი უნივერსიტეტის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა. შესაბამისად ამ რთული პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსები დიდი ყურადღებით იქნა არჩეული. პროგრამის მიხედვით სასწავლო კომპონენტი არის საკმაოდ მცირე. განსაზღვრულია მხოლოდ ორი დარგობრივი კურსი და ყველა დანარჩენი სასწავლო კურსი კი მოცემულია არჩევითის სახით. პროგრამა ერთი წელია რაც ხორციელდება და ამ ერთი წლის განმავლობაში სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ არა მხოლოდ ამ ოთხი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსები, არამედ მაგდებურგის უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სტუდენტებს ასევე რამდენიმე კურსის არჩევის საშუალება ჰქონდათ, რომელსაც საკმაოდ დადებითი შედეგი მოჰყვა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამას დაემატება და უკვე დაემატა კიდეც რამდენიმე არჩევითი სასწავლო კურსი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის მმართველმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პროგრამის განვითარებისა და ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესწავლის მიზნით შექმნილიყო მმართველ საბჭოში ჯგუფი, რომელიც ეტაპობრივად იმუშავებდა ექპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე. შეხვედრებიდან გამომდინარე, საბჭომ შეიმუშავა პასუხები. საბჭომ გაიზიარა რიგი რეკომენდაციები, რამაც კიდევ უფრო სრულყო სადოქტორო პროგრამა.
რაც შეეხება რეკომენდაციას განათლების მეცნიერებების სასწავლო კურსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სადოქტორო პროგრამა გათვლილია სასწავლო კურსების კრედიტ - მოცულობის ფარგლებში დოქტორანტებისათვის ოპტიმალური კრედიტების რაოდენობაზე, რაც შეადგენს 40 კრედიტს, რაც შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან არა მხოლოდ სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის, არამედ დამოუკიდებელი მუშაობისა და კვლევის უნარების განვითარების თვალსაზრისითაც, რაც დოქტორანტურის საფეხურის ძირითადი მოთხოვნაა. საგანმანათლებლო პროგრამა, მინიმალური კრედიტების ოდენობაში მოიაზრებს როგორც თეორიულ, ასევე გამოყენებით კურსებს - დარგის ძირითადი მეცნიერებები და მათი გამოყენებითი ასპექტები, კერძოდ, პედაგოგიკის მეცნიერების თეორია და ისტორია, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები განათლებაში, ასევე, კვლევის პრაქტიკული კურსი, დოქტორანტის სემინარი, პროფესორის ასისტენტობა. წინამდებარე სტრუქტურის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადპედაგოგიკურ მეცნიერულ ცოდნასთან ერთად, ცოდნის გაძლიერების საშუალებას იძლევა კონკრეტული საკვლევი სფეროს მიმართულებით/ 40 კრედიტიდან 5 არჩევითი კრედიტი/, და ეს ხერხდება 40 სასწავლო კრედიტის პირობებში. ამავდროულად სასწავლო კურსებს კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებში 40 კრედიტიდან 15 კრედიტი ეთმობა. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტისათვის საჭირო დამოუკიდებელი მუშაობის უნარების მაქსიმალურ განვითარებაზე. დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს მისი საკვლევი თემატიკის შესაბამისი გამაღრმავებელი კურსი პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი არჩევითი კურსების მიხედვით (მაგ., სკოლამდელი, ზოგადი სკოლის, პროფესიული სკოლის, უმაღლესი სკოლის, ზრდასრულთა პედაგოგიკების კურსები, სპეციალური პედაგოგიკა, ინტერკულტურული განათლება, განათლების ადმინისტრირება და ა. შ.). მიმდინარე სემესტრში პროგრამამ გამოაცხადა „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის კურსი“, რომელზეც დარეგისტრირდნენ შესაბამისი დარგით დაინტერესებული დოქოტორანტები. მომავალი სემესტრისთვის იგეგმება დარგის სწავლების მეთოდიკის კურსის შემუშავება და გამოცხადება და ა.შ. აქვე ავღნიშნავთ, რომ ასეთივე მიდგომას დაწესებულება იზიარებს ექსპერტების მიერ მითითებულ რეკომენდაციაზე - განათლების ადმინისტრირების სასწავლო კურსის არსებობის შესახებ, მით უფრო, რომ განათლების კლასიფიკატორში განათლების ადმინისტრირება მითითებულია ბიზნესისა და ადმინისტრირების გრაფაში 0413.2.6 ნიშნით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს კურსი არ მოიაზრება განათლების მეცნიერებების სპეციალობის ძირითად კურსად. ამდენად,

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კრედიტების გაზრდა ამ სასწავლო დისციპლინის სწავლების მიზნით, ინსტიტუციებს არ მიაჩნიათ სწორად.
მნიშვნელოვანია ასევე ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ პედაგოგიკის თეორიის კურსი მართლაც მოცულობითია და, პრაქტიკულად ფარავს პედაგოგიკის მეცნიერების ყველა ძირეულ საკითხს. მაგრამ ეს არმც დ არამც არ ნიშნავს, რომ სტუდენტმა 5 კრედიტის შესრულებით უნდა შეისწავლოს პედაგოგიკის მეცნიერების თეორია. კურსის შეიცავს იმ ძირითად საბაზისო ცნებებს, რომელიც აუცილებელია დოქტორანტისთვის, რათა იგი გაერკვეს პედაგოგიკის მეცნიერების ცნებათა ლოგიკურ კავშირებსა და კანონზომიერებებში, რომელიც მისთვის იქნება ორიენტირი კონკრეტული პედაგოგიკური დარგების შესწავლისათვის. პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები, თავისი შინაარსით, ფარავს დარგის ცენტრალურ თემებს, რომლის საფუძველზე დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს მისი საკვლევი თემატიკის შესაბამისი გამაღრმავებელი კურსი სტრუქტურაში წარმოდგენილი არჩევითი კურსების მიხედვით. /მაგ., სკოლამდელი, ზოგადი სკოლის, პროფესიული სკოლის, უმაღლესი სკოლის, ზრდასრულთა პედაგოგიკების კურსები, სპეციალური პედაგოგიკა, ინტერკულტურული განათლება, განათლების ადმინისტრირება და ა. შ./. ამდენად, ექსპერტების მიდგომა, რომ 5 კრედიტი უნდა გაიზარდოს, ან, გარკვეული თემატიკა ამოვაკლოთ სილაბუსს, დაწესებულება არამართებულად მიიჩნევს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი სავსებით დასაძლევია 5 კრედიტის მოცულობაში. ხოლო დამატებითი ლიტერატურის ვრცელი ჩამონათვალი მხოლოდ მიმოხილვით ფუნქციას ასრულებს და საორიენტაციოა დოქტორანტისთვის სასურველი მიმართულებით კვლევის პროცესში. ამდენად, მოცემულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ყურადღება გამახვილებულია განათლების პოლიტიკაზე, შესაბამისად ის დაინტერესდა, აღნიშნულს ხომ არ გულისხმობს ექსპერტთა რეკომენდაცია. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ არის სილაბუსებში წარმოდგენილი განათლების პოლიტიკის საკითხების გაანალიზება.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირებად მოხსენიებულია ყველა უნივერსიტეტის პერსონალი. შესაბამისად მან სთხოვა დაწესებულებას მოცემული საკითხის დაზუსტება. ასევე, ის დაინტერესდა, სადოქტორო ნაშრომის დაცვისა და წარდგენის პირობების საერთო არის თუ არა ყველა სტუდენტისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა უნივერსიტეტს აქვს თავისი მოთხოვნები.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით ქართველი სტუდენტებისთვის გადასახადი მოიცავს 2250 ლარს, ხოლო უცხოელი სტუდენტებისთვის 5000 ლარს, შესაბამისად ის დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რით იყო განპირობებული განსხვავება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტები ირიცხებიან ერთ კონკრეტულ ინსტიტუციაში, რომლის შესახებაც ბრძანებას გამოსცემს კონკრეტული უნივერსიტეტის რექტორი მართველი საბჭოს წარდგინების საფუძველზე, თუმცა აღნიშნული ავტომატურად ნიშნავს, რომ სტუდენტები ოთხივე უნივერსიტეტის სერვისებით ისარგებლებენ. რაც შეეხება კურსების არჩევის საკითხს, ოთხივე ინსტიტუციაში ისწავლება ერთი და იმავე სასწავლო კურსები, შესაბამისად კურსებს ჰყავს ოთხი განმახორციელებელი პერსონალი, მიმდინარეობს ერთგვარად და გადის ერთ შედეგზე. თუმცა თუ აღმოჩნდა ისე, რომ სტუდენტი მიუხედავად იმისა, რომ ჩაირიცხა ქუთაისში, მაგრამ რაღაცა პირობების გამო არის ბათუმში, მას შეუძლია კურსს დაესწროს ასევე ბათუმში. რეალურად სტუდენტს არჩევანის შესაძლებლობა სტუდენტს გარკვეულ შემთხვევებში აქვს.

რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის რეგულირებას, ყველა ინსტიტუციას გააჩნია განსხვავებული მარეგულირებელი დოკუმენტი დაცვასთან დაკავშირებით, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შემუშავებული დაცვის პროცედურა, რომელიც ფარავს ყველა უნივერსიტეტის მიერ მიღებულ დაცვის პროცედურას და ითვალისწინებს მათ. აღნიშნული ეხება ასევე კოლოქვიუმებსა და სემინარებს. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგზე სტუდენტი მხოლოდ სასწავლო კომპონენტით არ გადის, ძირითადი და გადამწყვეტი რა თქმა უნდა არის სადისერტაციო ნაშრომი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ქართულენოვანია და მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას აქვს ძლიერი ინგლისურენოვანი კომპონენტი, ფაქტობრივად სემინარების, კოლოქვიუმების, სადისერტაციო ნაშრომების რეზიუმეების წარმოდგენა სავალდებულოა ინგლისურ ენაზე. რაც შეეხება სწავლის საფასურს, ქვეყნის მასშტაბებით სხვადასხვა უნივერსიტეტების პრაქტიკის მიხედვით უცხოელი სტუდენტებისთვის სწავლების საფასური გაცილებით მეტია ვიდრე ქართველის სტუდენტებისთვის. სწავლის საფასურად განსაზღვრულია თანხა რაც დასჭირდება კარგი დოქტორანტის მომზადებას იდეალურ შემთხვევაში. თუმცა სადისერტაციო საფეხურის პოლიტიკა საჭიროებს ცვლილებას.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა განათლების პოლიტიკაზე და აღნიშნა, რომ თუ სწავლა სწავლების ორგანიზებაზე და ამასთან დაკავშირებით პოლიტიკაზეა საუბარი, პროგრამა საკმაოდ კარგი და გამართულია და ასევე საკმაოდ მდიდარია ადამიანური რესურსით. თუმცა მე-2 საკითხი არის ის, რომ პროგრამას ადამიანური რესურსის თვალსაზრისით აქვს პოტენციალი, რომ სრულად მოიცვას ადმინისტრირებაც. თუ საუბარია სადოქტორო პროგრამაზე, როგორც კვლევის კომპლექტზე, რომ სტუდენტმა და მკვლევარმა თვითონ აღმოაჩინოს საკვლევი თემატიკა, ამაზე არის საუბარი, რომ სასწავლო კურსების მეშვეობით, სტუდენტი ყველა ამ თემატიკას ვერ აღმოაჩენს. შესაბამისად თუ ადმინისტრირებაზეა საუბარი, მისი გარკვეული საკვანძო საკითხები აუცილებელია იყოს მოცული. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულება პროგრამაში ჯერ-ჯერობით ძლიერად არ არის წარმოდგენილი. კიდევ ბევრი დეტალია გასათვალისწინებელი და დასამატებელი. თუმცა აღნიშნული საკითხი კვლავ რჩება სამომავლოდ განვითარების პერსპექტივად, რომელიც აუცილებლად გამოიღებს შედეგს. ამ ეტაპზე კი პროგრამა თავის შინაარსითა და სასწავლო კურსებით ყველა სწავლის შედეგზე გადის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:46
დასრულების დრო: 17:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ გარკვეულწილად გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და ამოიღო რამდენიმე რეკომენდაცია.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია

1. რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურაში მკაფიოდ გამოჩდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა განათლების პოლიტიკის, კერძოდ განათლების ადმინისტრირების კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:23საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა